არგუსი

რა არის „არგუსი“

„არგუსი“ არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემაა, რომელიც სპეციალურად ილიაუნის სტუდენტებისთვის შეიქმნა და მათ სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვასა და ინფორმირებაში უწყობს ხელს.

„არგუსის“ მუშაობის რეჟიმი და ვადები

„არგუსს“ აქვს მუშაობის ორი რეჟიმი:

- არჩევის
- საინფორმაციო

„არგუსის“ არჩევის რეჟიმი გაძლევთ შესაძლებლობას, აირჩიოთ თქვენთვის სასურველი სასწავლო კურსები. „არგუსი“ არჩევის რეჟიმში ირთვება ყოველი სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე და ჩართულია სწავლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.

„არგუსის“ საინფორმაციო რეჟიმი ჩართულია მთელი წლის განმავლობაში და გაძლევთ შესაძლებლობას:

მიიღოთ ინფორმაცია:

- სალექციო კურსის ელექტრონულ მასალებზე;
- შუალედური შეფასების, სემესტრის ბოლოს კი ყველა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაზე;
- სწავლის პროცესში დაგროვილ კრედიტებზე;
- ფინანსურ დავალიანებაზე;
- საუნივერსიტეტო სიახლეებზე;
- ცხრილზე.

იცნობდეთ უნივერსიტეტში არსებული ყველა:

- პროგრამის სტრუქტურას;
- სასწავლო კურსის სილაბუსს;
- კურსის სასწავლო მასალას.

მართოთ პირადი პროფილი:

- შეადგინოთ რეზიუმე;
- მოითხოვოთ რეკომენდაცია ლექტორებისაგან;
- ნახოთ თქვენი მიმდინარე რეიტინგი;
- მიიღოთ პირადი შეტყობინებები;
- დაწეროთ და გაგზავნოთ განცხადებები.

როგორ მოვხვდე „არგუსზე“

„არგუსის“ ელექტრონული მისამართია argus.iliauni.edu.ge. „არგუსზე“ მოხვედრა შესაძლებელია ილიაუნის ვებგვერდიდანაც: iliauni.edu.ge

როგორ ვისარგებლო „არგუსით“

ნაბიჯი 1: შედით მისამართზე argus.iliauni.edu.ge.

ნაბიჯი 2: გაიარეთ ავტორიზაცია:

- პირველ ველში შეიყვანეთ თქვენი პირადი ნომერი ან საუნივერსიტეტო ელფოსტა;
- მეორე ველში შეიყვანეთ პაროლი, რომელიც გადმოგეცათ ადმინისტრაციისგან საინფორმაციო შეხვედრაზე;
- დააწკაპუნეთ ღილაკზე „შესვლა“.

ნაბიჯი 3: შეავსეთ თქვენი პირადი ინფორმაცია.

პირველ გვერდზე მოცემულია პირადი ინფორმაცია: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, იურიდიული მისამართი და აბონენტის კოდი - Billing ID.



შენიშვნა: აღნიშნული ველები შევსებულია და მათი შეცვლა შეუძლებელია.

შეავსეთ ან განაახლეთ საკონტაქტო ინფორმაცია

ხელმისაწვდომია შემდეგი ველები: ელფოსტა, მობილურის ნომერი, სახლის ნომერი, მისამართი.



მნიშვნელოვანია: პირადი და საკონტაქტო ინფორმაცია სწორად უნდა იყოს შევსებული. უნივერსიტეტი ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გიგზავნით შეტყობინებებს და გაწვდით ინფორმაციას. უზუსტობის შემთხვევაში, თქვენ ვერ მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას (მაგ: დასაქმების ან გაცვლითი პროგრამის შესახებ).

ნაბიჯი 4: პაროლის შეცვლა

„არგუსზე" პირველად შესვლის შემდეგ, რეკომენდებულია, შეცვალოთ ადმინისტრაციის მიერ გადმოცემული პაროლი.



შენიშვნა: ახალი პაროლი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 6 სიმბოლოსგან და შეიცავდეს ციფრს, დიდ და პატარა ასოებს.

პაროლის აღდგენის მექანიზმი

სისტემაში ჩაშენებულია პაროლის აღდგენის მექანიზმი:
გადადით ავტორიზაციის გვერდზე და დააწკაპუნეთ ღილაკზე „პაროლის შეხსენება“.

შეიყვანეთ თქვენი საუნივერსიტეტო ელფოსტა; გაიარეთ უსაფრთხოების შემოწმება (მონიშნეთ „მე არ ვარ რობოტი“); დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.
ელფოსტაზე მიიღებთ პაროლის აღდგენის ბმულს და შეძლებთ ახალი პაროლის შეყვანას.



სასწავლო კრედიტი

უნივერსიტეტში სტუდენტი იღებს თითოეული გავლილი კურსის შესაბამის კრედიტს. ჯამში, საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი: ძირითადი (Major) პროგრამისთვის - 120 კრედიტი, დამატებითი (Minor) პროგრამისთვის - 60 კრედიტი. მეორე პროფესიის არჩევა სავალდებულო არ არის და სტუდენტს შეუძლია გაიაროს მისთვის სასურველი ნებისმიერი სხვა კურსი.

ფაკულტეტები | სკოლები

უნივერსიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს 4 ფაკულტეტი/სკოლა:

დამატებით (Minor) პროგრამებს სტუდენტებს სთავაზობს მეცნიერებათა და ხელოვნებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტები. სამართლის სკოლაში სამართლის ძირითადი (Major) პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, შესაბამისად, მას ვერ ექნება დამატებითი პროგრამა.
ბიზნესის სკოლას არ აქვს Minor პროგრამა, შესაბამისად, მეორად პროფესიად ბიზნესს ვერ აირჩევთ, თუმცა, შეგიძლიათ, მეცნიერებათა და ხელოვნებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტების პროგრამებიდან აირჩიოთ მეორე პროფესია.
ძირითადი (Major) და დამატებითი (Minor) პროგრამების ცვლილება შესაძლებელია „არგუსის“ მენიუდან „ჩემი პროგრამები“.



სასწავლო კურსების არჩევისას, უნდა იხელმძღვანელოთ თქვენი პროგრამის აღწერით.
პროგრამის აღწერა მოცემულია:
ვრცლად - უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
მოკლედ - „არგუსის“ მენიუში „ჩემი კურსები“.

გავლილი და გასავლელი კრედიტების კალკულაცია

„არგუსის“ მენიუდან უკვე შესაძლებელია გავლილი და დარჩენილი კურსების რაოდენობაზე ინფორმაციის მიღება.

საგნები აღნიშნულია ფერებით:
სავალდებულო - ლურჯად;
სავალდებულო არჩევითი - ნარინჯისფრად;
არჩევითი - მწვანედ.
ასევე, მოცემულია შესაბამისი გავლილი/გასავლელი კრედიტების რაოდენობა. მაგ., 30/42 ნიშნავს, რომ სტუდენტს სავალდებულო 42 კრედიტიდან დაგროვილი აქვს 30 კრედიტი.

როგორ ავირჩიოთ სასწავლო კურსი

თქვენთვის სასურველი სასწავლო კურსის მოძებნა შესაძლებელია:

- კურსების კატალოგში დასახელებით ან კოდით;
- მენიუდან „ჩემი კურსები“ შესაბამისი პროგრამის მოდულზე გადასვლით.

სასურველ კურსზე დაწკაპუნებით შესაძლებელია კურსის სასწავლო სილაბუსის დათვალიერება და ხელმისაწვდომი ჯგუფების შესახებ ინფორმაციის მიღება. ჯგუფის ნომერზე დაჭერით მონიტორზე გამოდის ლექციის დრო და აუდიტორია.
თუ გაწყობთ მოცემული დრო, დააჭირეთ ღილაკს „არჩევა“.

ფინანსური ინფორმაცია „არგუსზე“

ფინანსური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია „არგუსის“ ძირითადი პანელიდან.

წითელი ფერით მოცემული მონაცემები დავალიანებას აღნიშნავს.



მწვანე ფერით დაწერილი 0 ნიშნავს, რომ თქვენ დავალიანება არ გერიცხებათ.



მწვანე ფერით დაწერილი რიცხვი კი ნიშნავს, რომ თქვენ ბალანსზე გაქვთ თანხა.



განცხადებების სისტემა

„არგუსი“ საშუალებას გაძლევთ, სხვადასხვა სახის განცხადებით მიმართოთ უნივერსიტეტის რექტორს ან ფაკულტეტის დეკანს. ამისათვის, განცხადებების მენიუში დააჭირეთ ღილაკს „ახალი განცხადება“ და აირჩიეთ სასურველი განცხადების შაბლონი.



თავისუფალი ბლანკის შაბლონით განცხადება ეგზავნება თქვენი ფაკულტეტის დეკანს და ტექსტის შინაარსი თავისუფალია, სხვა შაბლონებში კი გამზადებული გხვდებათ საჭირო ველები.

კალენდარი

„არგუსზე“ არსებულ კალენდარზე მონიშნულია ყველა დასვენების დღე; ასევე, ლექტორები, სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, ინიშნავენ სხვადასხვა აქტივობას (მაგალითად, შუალედური ტესტირება, გამოცდა და ა.შ.).



შეტყობინებები

„არგუსი“ ლექტორსა და სტუდენტს შორის ინფორმაციის გაცვლის საუკეთესო საშუალებაა. ლექტორისთვის შეტყობინების გასაგზავნად გადადით შესაბამის სასწავლო კურსზე და დააჭირეთ კონვერტის სიმბოლოს. „არგუსის“ მთავარ პანელზე ჩანს შემომავალი შეტყობინებების რაოდენობა:

- თქვენ გაქვთ 1 ახალი შეტყობინება 
- თქვენ არ გაქვთ ახალი შეტყობინება 

შეტყობინებები ინახება სემესტრულად, ამიტომ, ძველი შეტყობინებების სანახავად გადართეთ სემესტრი. შეტყობინებების ძიება შესაძლებელია საძიებო სიტყვითაც.

კვლევების მოდული

ყოველი სემესტრის ბოლოს, თითოეულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, „არგუსის“ მეშვეობით შეაფასოს სემესტრის განმავლობაში გავლილი ყველა სასწავლო კურსი და მისი ლექტორი. კვლევის შედეგები ლექტორისათვის ცნობილი ხდება სემესტრის ოფიციალურად დასრულების შემდეგ.

კვლევაში სტუდენტის მონაწილეობა ნებაყოფლობითია, შესაძლებელია კითხვარის როგორც ნაწილობრივ, ისე სრულად შევსება. კითხვარის მონაცემები კონფიდენციალურია და არ არის ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.



პირადი ინფორმაცია

სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, „არგუსს“ დაემატა ახალი ბლოკი - პროფილი, რომელშიც შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის განთავსება: რეზიუმე, სასწავლო ბარათი, რეკომენდაცია, ცნობები და რეიტინგი.



რეზიუმე

აღნიშნული ფუნქცია სტუდენტებს საშუალებას აძლევს, შეადგინონ და ნებისმიერ დროს განაახლონ საკუთარი რეზიუმე (CV).



სასწავლო ბარათი

„არგუსის“ მეშვეობით სტუდენტს შეუძლია, თავად ამობეჭდოს საკუთარი ნიშნების ფურცელი (სასწავლო ბარათი). ხელმოწერილი და ბეჭდიანი დოკუმენტის საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტი უნივერსიტეტს განცხადებით მიმართავს „არგუსის“ მეშვეობით.

ცნობა

„არგუსის“ მეშვეობით შესაძლებელია ცნობის დაბეჭდვა (მიმდინარე სტატუსის შესახებ). ხელმოწერილი და ბეჭდიანი დოკუმენტის საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტი უნივერსიტეტს განცხადებით მიმართავს „არგუსის“ მეშვეობით.
„არგუსთან“ დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში, დაუკავშირდით:

- არგუსის სისტემის ადმინისტრატორს - ირინა ბაზღაძეს
ელფოსტა: argus@iliauni.edu.ge; ოთახი: E214, E215
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხელ ხაზს. ტელ.: (032) 2 22 009
- სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული შენიშვნების რეგისტრაციის სამსახურს
ტელ.: (032) 2 22 32 43